ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ზ უ გ დ ი დ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY GOVERNMENT

გამგებლის ბრძანება

N 3530
02/10/2017

3530-02-4-201710021643

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალკახათის საჯარო სკოლის სახელოსნოსა და საქვაბის დემონტაჟის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის", „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების, განაშენიანების რეგულირებისა და სამშენებლო სამართალდარღვევის" საკითხთა კომისიის 2017 წლის 28 ივლისის №23 ოქმის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნება მიეცეს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალკახათის საჯარო სკოლას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალკახათში, აწარმოოს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდით: #43.22.42.060) მდებარე სკოლის სახელოსნოსა და საქვაბის შენობის დემონტაჟის სამუშაოები.
2. დემონტაჟის სამუშაოები ჩატარდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით.
3.დემონტაჟის სამუშაოების შემდეგ, ტერიტორიიდან გატანილ იქნეს სამშენებლო ნაგავი, სოფ. ახალკახათის წარმომადგენელთან შეთანხმებით.
4.დემონტაჟის სამუშაოები, წარმოებულ იქნეს წარმოდგენილი პროექტისა და კალენდარული გეგმის დაცვით.
5.დემონტაჟის სამუშაოებზე კონტროლი დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურს.
6.ბრძანება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
7.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი"-ს 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. #12).

საფუძველი: 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N43.22.42.060, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის წერილი, საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის წერილი, დემონტაჟის პროექტი, ქვითარი მოსაკრებლის გადახდის შესახებ.

ლაშა გოგია

გამგებელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა

2100 ზუგდიდი. რუსთაველის ქ. 90, ტელ: (0415) 25 01 23, (0415) 22 21 03 E- mail: zugdidi.gamgeoba@gmail.com